


*ახლი რედაქცია დამტკიცებულია*

რექტორის ბრძანება №01-23 27.03.2024

რექტორი  პ. ხვედელიძე



ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი  
ნდ №2-020101-52

**პრეამბულა**

1. წინამდებარე წესი ბნსუ-ს ენების შემსწავლელი სკოლის ნორმატიული დოკუმენტია;
  1. შემუშავებულია ბნსუ-ს ენების შემსწავლელი სკოლის სამსახურის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და იურისტის მიერ;
  2. დამტკიცებულია ბნსუ-ს რექტორის მიერ;
  3. ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.
2. დებულებაში ცვლილებები მუშავდება და შედის საჭიროებისამებრ ან/და იმ ნორმატიული დოკუმენტების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ეს წესი;
3. წესი ინახება:
  1. ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან (ორიგინალი);
  2. ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში (ელ.ვერსია);
  3. ენების შემსწავლელ სკოლაში (ელ.ვერსია).
4. ნორმატიული საფუძველი:
  1. საქართველოს კონსტიტუცია;
  2. საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ;
  3. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
  4. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ;
  5. განათლების სფეროში საქართველოს მოქმედი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;
  6. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრონციპები;
  7. საქართველოს კანონი მეზღვაურთა გათლებისა და სერტიფიცირების შესახებ;
  8. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9000:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემა და ლექსიკონი;
  9. ნდ №2-010101 – ბნსუ-ს წესდება;
  10. ნდ №2-010102 – ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი დებულება (შინაგანაწესი);
  11. ნდ №2-020101-01 – დოკუმენტების მართვის პროცედურა;
  12. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“;

**ბნსუ-ში მოქმედი შემოკლებები და განმარტებები**

ISO - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;

ხს - ხარისხის სისტემა;

ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა;

პროფესიული განათლების კრედიტი - პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის (დატვირთვის) გამომხატველი ერთეული;

სტს - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო;

ნორმატიული დოკუმენტი - დოკუმენტი, რომელიც ადგენს სხვადასხვა საქმიანობის წესს, საერთო პრინციპებსა და დახასიათებას და ეხება სხვადასხვა საქმიანობის სახეებს და მათ შედეგებს;

თანამდებობრივი ინსტრუქცია - შიდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, თანამდებობაზე დანიშნული მუშაკის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს, მოვალეობებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობას;

სტრუქტურული ერთეული დებულება - შიდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის სტატუსს, საქმიანობის სფეროს ან მიმართულებას, ამოცანებსა და ფუნქციებს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დანიშვნის წესსა და მის თანამდებობრივ ფუნქციებს;

სტუდენტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

მაგისტრანტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

პროფესიული სტუდენტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

საგანმანათლებლო პროგრამა - საბაკალავრო / სამაგისტრო / პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

უსდ/სდ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/საგანმანათლებლო დაწესებულება;

ბნსუ ან სასწავლო უნივერსიტეტი - შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“.

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

- 1.1. ეს წესი განსაზღვრავს შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში „ბნსუ“) ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესს, ენობრივი კომპეტენციის გამოცდის ჩატარების ვალდებულების მქონე პირთა წესს, გამოცდის ჩაბარების წესსა და პირობებს;
- 1.2. წინამდებარე წესის მიზანია, ხელი შეუწყოს ბნსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პირების შესაბამისი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენას.

ძირითადი დოკუმენტი: ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი			
ნდ №2-020101-52	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-23, 27.03.2024	2-5

## მუხლი 2. ენობრივი კომპეტენციის შეფასების მეთოდოლოგია

2.1. ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენისთვის, ბნსუ-ში გამოყენებულია ენობრივი კომპეტენციის ევროპული ჩარჩოს (CEFR) მიერ აპრობირებული კომპეტენციათა დონე, რომლის შესაბამისად, თითოეულ ენობრივ კომპეტენციას შეესაბამება თავისი პირობითი აღმნიშვნელი.

2.2 ენობრივი კომპეტენციის შეფასების დონეებია:

- ა) A დონე- დაწყებითი კომუნიკაციის კომპეტენცია;
- ბ) B დონე - დამოუკიდებელი კომუნიკაციის კომპეტენცია;
- გ) C დონე - პროფესიული კომუნიკაციის კომპეტენცია.

2.3 ენობრივი კომპეტენციის დონის შედეგების აღწერი:

ა) A1 - ნაცნობი, ყოველდღიურად გამოყენებადი გამონათქვამებისა და უმარტივესი წინადადებების გაგებისა და გამოყენების უნარი, რომელთა მიზანსაც კონკრეტული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეადგენს. სხვებისათვის საკუთარი თავის წარდგენისა და სხვების წარდგენის, ასევე ადამიანებისათვის მათ შესახებ კითხვების დასმის უნარი - მაგ.: სად ცხოვრობენ ისინი, რა ადამიანებს იცნობენ ან რა ნივთებს ფლობენ - და ასევე მათზე პასუხების გაცემის შესაძლებლობა. მარტივი კომუნიკაციის უნარი, როდესაც თანამოსაუბრე ნელა და გარკვევით ლაპარაკობს და მზადაა დახმარებისათვის;

ბ) A2 - წინადადებებისა და ხშირად გამოყენებადი გამონათქვამების გაგების უნარი, რომლებიც გარკვეული სფეროების უშუალო მნიშვნელობებთანაა დაკავშირებული (მაგ.: ინფორმაცია პიროვნებისა და ოჯახის, საყიდლების, სამუშაოს, უშუალო გარემოცვის შესახებ). მარტივ, ყოველდღიურ სიტუაციებში კონტაქტის დამყარების უნარი, სადაც ინფორმაციის მარტივ და უშუალო გაცვლაზე და ნაცნობ, ჩვეულ საგნებზეა საუბარი. მარტივი წინადადებებით საკუთარი წარმომოხსენებისა და განათლების, უშუალო გარემოცვისა და უშუალო მოთხოვნილებებთან დაკავშირებული საგნების აღწერის უნარი.

გ) B1 - მარტივი სტანდარტული ენის გამოყენებისას და ნაცნობ საგნებზე, სამუშაოს, სკოლის, დასვენებებისა და ა. შ. სფეროებიდან მთავარი საკითხების გაგების უნარი. მოგზაურობისას წარმომოხილი უმეტეს ენობრივ სიტუაციასთან გამკლავების უნარი. ნაცნობ თემებსა და პიროვნულ ინტერესებზე მარტივად და თანმიმდევრულად საუბრის უნარი. გამოცდილებებისა და მოვლენების გადმოცემის, ოცნებების, იმედებისა და მიზნების აღწერის, გეგმებისა და შეხედულებების შესახებ მოკლე არგუმენტაციის ან ახსნის უნარი;

დ) B2 - კონკრეტულ და აბსტრაქტულ თემებზე შექმნილი კომპლექსური ტექსტების მთავარი აზრის გაგება; საკუთარ პროფესიულ სფეროში ასევე საგნობრივი დისკუსიების გაგების უნარი. სპონტანურად და თავისუფლად კონტაქტში შესვლის უნარი, ისე რომ უცხოენოვან მოსაუბრესთან დიდი ძალისხმევით გარეშე ორმხრივად კარგად წარიმართოს საუბარი. თემების ფართო სპექტრის შესახებ გასაგებად და დეტალურად საუბრის, აქტუალურ საკითხზე საკუთარი პოზიციის გამოხატვისა და სხვადასხვა შესაძლებლობების პრიორიტეტებისა და ნაკლოვანებათა განმარტების უნარი;

ე) C1 - რთული, ვრცელი ტექსტების ფართო სპექტრის გაგებისა და იმპლიციური მნიშვნელობის წვდომის უნარი. სპონტანურად და თავისუფლად აზრების გამოხატვის შესაძლებლობა, ისე რომ არ არსებობდეს სიტყვების ძებნის ხშირი და აშკარად თვალში საცემი საჭიროება. ენის საზოგადოებრივ და პროფესიულ ცხოვრებაში ან სწავლის პროცესში ეფექტურად და მოქნილად გამოყენების უნარი. კომპლექსურ საკითხებთან დაკავშირებით ნათლად, სტრუქტურირებულად და დეტალურად აზრის გამოთქმისა და ამ პროცესში ტექსტის შემაკავშირებლად სხვადასხვა შესაბამისი საშუალებების გამოყენების უნარი;

ვ) C2 - პრაქტიკულად ყოველივე მოსმენილისა და წაკითხულის მარტივად გაგების უნარი. სხვადასხვა წერილობითი და ზეპირი წყაროებიდან ინფორმაციების შეჯამებისა და მათთან დაკავშირებული არგუმენტაციისა და განმარტებების მწყობრად გადმოცემის შესაძლებლობა. აზრების სპონტანურად, ძალზე თავისუფლად და ზუსტად გადმოცემისა და კომპლექსურ საკითხებზე საუბრისას ფაქიზი ნიუანსების გამოკვეთის უნარი.

## მუხლი 3. ენობრივი კომპეტენციის დადგენას დაქვემდებარებულ პირთა წრე

3.1 საგანმანათლებლო პროგრამის უცხო ენის კომპონენტის დონის განსაზღვრას ექვემდებარება ბნსუ-ს ყველა სტუდენტი, რომელიც ირიცხება ან არის მოხილობით გადმოსული სხვა არადარგობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ბნსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელიც ითვალისწინებს უცხო ენის/ენების შესწავლას და მიმართავს ბნსუ-ს შესაბამისი დონის განსაზღვრის მიზნით;

ძირითადი დოკუმენტი: ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი			
ნდ №2-020101-52	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-23, 27.03.2024	3-5

3.2 საერთო სამაგისტრო გამოცდებით ჩარიცხული სტუდენტების უცხო ენის კომპეტენცია დგინდება შესაბამის პროგრამაზე მისაღები სამაგისტრო გამოცდის უცხო ენის ტესტის შედეგებით ან შესაბამისი პროგრამის მოთხოვნებით გათვალისწინებული ენობრივი კომპეტენციის დადასტურების საერთაშორისო სერტიფიკატით;

3.3 უცხო ენოვან პროგრამაზე სტუდენტის დაშვებისთვის განისაზღვრება შემდეგი დამატებითი წინაპირობები:

- ა) ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული სტუდენტებისათვის დგინდება ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე შესაბამისი უცხოური ენის ჩაბარების ვალდებულება და განისაზღვრება ამ გამოცდაში კომპეტენციის ზღვარი, რომელიც აისახება პროგრამაში, ასევე საჭიროა გაიარონ საუნივერსიტეტო გამოცდა უცხო ენაში კომპეტენციის დონის განსაზღვრისათვის;
- ბ) ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხული პირები, პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვებისათვის ვალდებულნი არიან წარმოადგინონ უცხოენოვანი კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან გაიარონ საუნივერსიტეტო გამოცდა, უცხო ენაში კომპეტენციის დონის განსაზღვრისათვის;
- გ) მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი პირი, ექვემდებარება ინგლისური ენის დონის განსაზღვრას, რათა დადასტურდეს პირის მიერ პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევისათვის საჭირო ენობრივი კომპეტენცია.

#### **მუხლი 4. საერთაშორისო სერტიფიკატის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამის ენის ან საგანმანათლებლო პროგრამის უცხო ენის კომპონენტის დონესთან**

სტუდენტი/აბიტურიენტი უფლებამოსილია ენობრივი კომპეტენციის დონის დასადგენად წარმოადგინოს შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEIC, TOEFL, IELTS, Cambridge Exam, PTE) და თავისუფლდებოდეს გამოცდის ჩაბარებისგან.

#### **მუხლი 5. ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი**

- 5.1. ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენა ხდება ბნსუ-ს მიერ ორგანიზებული გამოცდის მეშვეობით, რომლის საკითხები რელევანტურია ენობრივი კომპეტენციის შესაბამისი დონისა;
- 5.2. საგამოცდო საკითხების ფორმატი და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება შესაბამისი ენობრივი ტესტის მიხედვით;
- 5.3. კომპეტენციის დადგენა გამოცდის მეშვეობით ხდება ცენტრალიზებულად, ან ბნსუ-ს გადაწყვეტილებით - ინდივიდუალურად, სტუდენტთა კონკრეტული ნაკადიდან გამომდინარე.

#### **მუხლი 6. გამოცდის შედეგები. აპელაცია**

- 6.1 ენობრივი კომპეტენციის დასადგენი გამოცდის შედეგები ეცნობება სტუდენტს გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს 5 დღისა;
- 6.2. სტუდენტს უფლება აქვს შეიტანოს აპელაცია გამოცდების შედეგებთან დაკავშირებით, შედეგების გამოცხადებიდან ერთი კვირის ვადაში. აპელაციის საკითხს განიხილავს შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეულის მიერ შექმნილი დროებითი კომისია;
- 6.3. ენობრივი კომპეტენციის დადგენის გამოცდის საბოლოო შედეგები ქვეყნდება აპელაციების განხილვის დასრულების შემდეგ და ეცნობება ყველა სტუდენტს.

#### **მუხლი 7. დასკვნითი დებულებები**

- 7.1. წინამდებარე დოკუმენტი ძალაში შედის ამ დოკუმენტის დამტკიცებისთანავე;
- 7.2. წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

ძირითადი დოკუმენტი: ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი			
ნდ №2-020101-52	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-23, 27.03.2024	4-5



ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებების №	ცვლილებების თარიღი	ცვლილებების შინაარსი